ნიკო ნიკოლაძის და გიორგი ნიკოლაძის პირადი არქივის გამოფენა

ნიკო ნიკოლაძე

დაბადების თარიღი: 9ოქტომბერი, 1843
გარდაცვალების თარიღი: 5 აპრილი, 1928
დაკრძალვის ადგილი: მთაწმინდის პანთეონი, თბილისი
დაბადების ადგილი: ქ. თბილისი.



დაამთავრა ციურიხის უნივერსიტეტი 1868 წელს.
1861 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ სტუდენტთა დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის ნ. ნიკოლაძე დააპატიმრეს და უნივერსიტეტიდანაც დაითხოვეს. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ პეტერბურგში ცხოვრება აუკრძალეს. 1862 წელს სამშობლოში დაბრუნდა და მონაწილეობდა ჟურნალ "ცისკრის" ფურცლებზე ძველი და ახალი თაობას შორის გამართულ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლაში. შემდეგ კვლავ პეტერბურგს გაემგზავრა და გაზეთ "ნაროდნოე ბოგატსტვოს" რედაქტორობდა. 1864 წელს სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ წავიდა. 1866 მან ფრანგულ ენაზე გამოსცა თავისი პირველი წიგნი "მთავრობა და ახალი თაობა", 1868 ჟენევაში ლ. მეჩნიკოვთან ერთად დააარსა ჟურნალ "სოვრენნოსტი". 1870 წელს მუშაობდა გაზეთ "დროების" თანამშრომლად. 1871 წლიდან სათავეში ჩაუდგა ჟურნალ "კრებულს", რომელშიც გამოაქვეყნა ბევრი საპროგრამო ხასიათის სტატია პოლიტიკურ და ლიტერატურის საკითხებზე. 1873 წელს იგი კვლავ პარიზში იყო, ამჯერად ტყიბულის ქვანახშირის საქმეების მოსაგვარებლად. 1873 წლის 1 აპრილიდან პარიზშივე დაიწყო ჰექტოგრაფიულად ნაბეჭდი გაზეთ "დროშის" გამოცემა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაიწყო დიდი ლიტერატურული-საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1878-იდან გამოსცემდა გაზეთ "ობზორს", რომელიც 1880 წელს მთავრობამ დახურა და მისი რედაქტორი სტავროპოლში გადაასახლა. 1881 წელს სტავროპოლიდან პეტერბურგში გადავიდა, სადაც თანამშრომლობდა ჟურნალში "ოტეჩესტვენნიე ზაპისკი" და ფართო ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. 1886 წლიდან მეორე დასის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. 1887-1891წწ. თბილისში რედაქტორობდა გაზეთ "ნოვოე ობოზრენიეს", თანამშრომლობდა ჟურნალ "მოამბეში". 1894-1912წწ. იყო ფოთის ქალაქის თავად. მთელი ოცი წლის განმავლობაში სათავეში ედგა ქალაქ ფოთს. მისი ხელმძღვანელობით ჭაობიანი პატარა ფოთი მოკლე დროში დიდი პერსპექტივების მქონე ქალაქად გადაიქცა. მან პირველმა დაბეჭდა ობლიგაციები, ლატარიის ბილეთები და მთელი შემოსავალი ფოთის კეთლმოწყობას მოახმარა. 1918 წლის 26 მაისს მან ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. ნ. ნიკოლაძემ დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის კრიტიკის განვითარებაში. საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი.

ნიკო ნიკოლაძის ხელნაწერები





Дорогой папа!

Как ты помнишь, Ты должен
купить мне 2 книги: Илиада, Герой
Дима и Грецій и Вагнера; Илиада
и Дима если можешь пожалуйста
купи и привези мне с
собою, или вышли мне, я
сейчас должен итти
спать: уже 9½ часов.

Целую тебя

Твой Георгій.

P.S. Я нахожу учиться на
скрипке.

ნიკო ნიკოლაძის პირადი სათვალე



გიორგი ნიკოლაძე

დაბადების თარიღი: 11 აგვისტო, 1888
გარდაცვალების თარიღი: 5 თებერვალი, 1931
დაკრძალვის ადგილი: დიდუბის პანთეონი, თბილისი
დაბადების ადგილი: სოფელი დიდი ჯიხაიში, სამტრედიის რაიონი.

დაამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი 1913 წელს.

1913–1916 წწ. მუშაობდა ტულა–კოსაია–გორას თუჯის, იუზოვკის(დონეცკი) მეტალურგიულ ქარხნებში; 1916–1918 წწ. ენაკიევოს მეტალურგიულ ქარხანაში; 1918 წელს დაბრუნდა საქართველოში; იგი მიიწვიეს მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში ინჟინერ–მეტალურგად; 1929–1930წწ. თბილისში(დიდუბეში) მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით აშენდა ფეროშენადნობთა სადნობი საცდელი ღუმელი, რომელზედაც ჩატარებული ცდების შედეგები საფუძვლად დაედო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობას; მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მათემატიკაშიც; 1927 წელს დაამუშავა ალგებრული წილების ალგებრული სისტემების თეორია; მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში სპორტის პოპულარიზაციის საქმეში; 1908 წელს წარმატებით გამოვიდა ტანმოვარჯიშეთა შეხვედრაზე ბულგარეთში; 1912 წელს პეტერბურგის გუნდ "სოკოლის" შემადგენლობაში იყო და მონაწილეობა მიიღო მე–6 მსოფლიო შეკრებაზე პრაღაში; 1923 წლის 28 აგვისტოს მოაწყო ალპინისტური ასვლა მყინვარწვერზე, რამაც დასაბამი მისცა ალპინიზმს ყოფილ სსრკ–ში; შექმნა პირველი ქართული სახემძღვანელო – "დიფერენციალური გეომეტრიის ელემენტები" (1934); მისი ხელმძღვანელობით გამოიცა პირველი ქართული სახელმძღვანელოები ტანვარჯიშში; ტექნიკურ დარგში საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დააარსა გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია (1973); ასევე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მექანიკა–მათემატიკის ფაკულტეტზე, დაწესებულია გ. ნიკოლაძის სახელობის სტიპენდია; ამავე უნივერსიტეტში არის მისი სახელობის გეომეტრიის კაბინეტი. დისერტაცია დაიცვა სორბონში, 1928 წელს.

გიორგი ნიკოლაძის ხელნაწერები